

რეგისტრაცია

1. რა არის თსუ-ში სტუდენტის ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობა?

- მას შემდეგ, რაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აბიტურიენტს მიენიჭება სტუდენტის სტატუსი, თსუ-ში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა **ადმინისტრაციული** (ფინანსური) რეგისტრაციის გავლა თსუ-ში დადგენილი წესების და ვადების დაცვით; ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და სათანადო დოკუმენტების ჩააბარების შემდეგ პირველი სემესტრის სტუდენტი იღებს პაროლს, რომლის მეშვეობითაც “სასწავლო პროცესის მართვის სისტემა”-ში გადის **აკადემიურ** (საგნობრივ) რეგისტრაციას.

ადმინისტრაციული რეგისტრაცია

2. რას გულისხმობს ადმინისტრაციული რეგისტრაცია?

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ ბანკში სწავლის მთლიანი საფასურის გადახდას, ან სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების შემთხვევაში სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობის დაფარვას.

3. რომელ ბანკში ხდება სწავლის საფასურის გადახდა?

- სწავლის მთლიანი გადასახადის ან სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობის დაფარვა შეიძლება “თი-ბი-სი” ბანკის, ბანკ “რესპუბლიკა”-ს და “სახალხო ბანკის” ნებისმიერ ფილიალში.

4. შესაძლებელია თუ არა სწავლის საფასურის გადახდა სემესტრულად?

- ბაკალავრიატში სწავლის საფასურის სემესტრული გადახდა შესაძლებელია. 2009 – 2010 სასწავლო წლიდან თსუ-ში ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლის საფასური შეადგენს სემესტრში 1125 ლარს თუ სტუდენტს აქვს X%-იანი სახელმწიფო დაფინანსება(სახელმწიფო გრანტი) იგი ვალდებულია გადაიხადოს $1125 \cdot (100 - X) / 100$ ლარი.

5. აქვს თუ არა სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმების უფლება?

- სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს ორი კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას.

6. აქვს თუ არა სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის უფლება დადგენილი ვადის შემდეგ?

➤ თუ სტუდენტმა არ გაიარა ადმინისტრაციული რეგისტრაცია დადგენილ ვადებში, მაგრამ მაინც მონაწილეობს სასწავლო პროცესში, ეს არ აძლევს მას უფლებას მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა ვადის გასვლის შემდეგ და შუალედური შეფასებების აღიარება.

7. რამდენჯერ ტარდება რეგისტრაცია სასწავლო წლის განმავლობაში?

➤ რეგისტრაცია სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება ორჯერ, ყოველი სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში.

8. რა ხდება იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არ გაივლის რეგისტრაციას დადგენილ ვადებში?

➤ სტუდენტს, რომელიც არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას დადგენილ ვადებში შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

9. თუ სტუდენტი არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას რომელი სემესტრიდან აგრძელებს იგი სწავლას?

➤ თუ სტუდენტი არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას მას ავტომატურ რეჟიმში უჩერდება სტუდენტის სტატუსი. სემესტრების ათვლა გრძელდება და სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომელშიც გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას. მაგალითად, თუ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა 2009-2010 წლის მეორე სემესტრში და ახალი ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიარა 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, მასინ იგი გახდება მეოთხე სემესტრის სტუდენტი, თუმცა ისწავლის მეორე სემესტრის სტუდენტებთან ერთად.

➤ თუ სტუდენტმა სწავლა შეწყვიტა (შესაბამისად, აღარ გააკეთა ადმინისტრაციული რეგისტრაცია) საპატიო მიზეზით, მაგ. ავადმყოფობის გამო, მაშინ ის რჩება იმავე სემესტრის სტუდენტად, რომელ სემესტრშიც შეწყვიტა სწავლა.

აკადემიური რეგისტრაცია

10. რას გულისხმობს აკადემიური რეგისტრაცია?

➤ აკადემიური ანუ საგნობრივი რეგისტრაცია გულისხმობს ყოველი სემესტრის დაწყებამდე სტუდენტის მიერ ინდივიდუალური ცხრილის ფორმირებას, ანუ დადგენილ ვადაში სასწავლო დისციპლინების არჩევას. **A**

11. როგორ ხდება აკადემიური რეგისტრაცია?

➤ აკადემიური რეგისტრაცია ტარდება "სასწავლო პროცესის მართვის სისტემის" საშუალებით. სისტემაში დაშვების უფლება სტუდენტს ეძლევა ავტომატურად, მის მიერ ბანკში სწავლის საფასურის გადახდიდან 3 დღის შემდეგ (პირველი სემესტრის სტუდენტი პაროლს იღებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის დროს).

12. რამდენი კრედიტის აღება უნდა დაგეგმოს სტუდენტმა აკადემიური რეგისტრაციისას?

➤ აკადემიური რეგისტრაციისას გასათვალისწინებელია, რომ კრედიტების წლიური დასაშვები რაოდენობა განსაზღვრულია 65 კრედიტით. სტუდენტს შეუძლია ამ 65 კრედიტიდან 30 დაგეგმოს შემოდგომის სემესტრში, ხოლო 35 გაზაფხულის სემესტრში. შესაძლებელია პირიქითაც: 35 დაიგეგმოს შემოდგომის სემესტრში, ხოლო 30 გაზაფხულის სემესტრში.

13. ინდივიდუალური ცხრილის ფორმირებისას ვისთან შეიძლება კვალიფიციური კონსულტაციის მიღება?

➤ კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ტუტორებისაგან, ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილი პირებისაგან, რომლებიც აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში იმყოფებიან, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ, სტუდენტებისთვის წინასწარ ცნობილ ადგილას. კერძოდ, 2009 წლის სექტემბერში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური რეგისტრაცია ჩატარდება თსუ XI კორპუსში (ე.წ. ბიოლოგიის კორპუსში) მისამართზე უნივერსიტეტის ქ.113.

13. ვისთან შეიძლება კონსულტაციის მიღება სემესტრის განმავლობაში?

სემესტრის განმავლობაში კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

"სასწავლო პროცესის მართვის სისტემით"

სარგებლობა

14. როგორ ისარგებლოს სტუდენტმა "სასწავლო პროცესის მართვის სისტემით"?

➤ სტუდენტს, რომელიც დაშვებულია სისტემაში, ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან შეუძლია შევიდეს თსუ-ს ინტერნეტ გვერდზე:
<http://www.sms.tsu.ge> საკუთარი სახელის, გვარის და პაროლის მითითებით.

15. სად შეიძლება აიღოს სტუდენტმა პაროლი?

➤ სტუდენტი პაროლს იღებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს.

16. სტუდენტს დაავიწყდა პაროლი. ვის შეიძლება მიმართოს პაროლის აღსადგენად?

- პაროლის აღსადგენად სტუდენტს შეუძლია მიმართოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

17. სად შეიძლება სტუდენტმა ისარგებლოს კომპიუტერით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში?

- კომპიუტერით სარგებლობა შესაძლებელია უნივერსიტეტის მაღლივ(X) და II კორპუსის რესურს-ცენტრებში.

18. რა სახის მომსახურებას სთავაზობს სტუდენტს სასწავლო პროცესის მართვის სისტემა?

- სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შეიძლება შემდეგი მომსახურებით სარგებლობა:
 - 1) **ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:** სტუდენტს შეუძლია შეასწოროს საკუთარი ანკეტური მონაცემები.
 - 2) **სასწავლო ბარათი:** სტუდენტს შეუძლია ნახოს მის მიერ არჩეული საგნები, მიღებული შეფასებები და დაგროვილი კრედიტები.
 - 3) **ინდივიდუალური ცხრილის ფორმირება:** სტუდენტს ეცნობება რას არ უნდა აღემატებოდეს მის მიერ არჩეული დისციპლინების კრედიტების ჯამი და წარედგინება საგნების ჩამონათვალი, საიდანაც მან უნდა აირჩიოს მიმდინარე სემესტრში შესასწავლი საგნები. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე სტუდენტს კონსულტაციას გაუწევს მიმართულების ტუტორი.
 - 4) **სასწავლო პროგრამა:** სტუდენტს შეუძლია გაეცნოს ფაკულტეტზე არსებულ სპეციალობათა ნუსხას, თითოეული სპეციალობის შესახებ მოკლე ინფორმაციას და შესაბამის დისციპლინათა ჩამონათვალს.
 - 5) **სილაბუსი:** სტუდენტს შეუძლია გაეცნოს ფაკულტეტზე არსებულ სასწავლო დისციპლინების სილაბუსებს.
 - 6) **სპეციალობათა არჩევა:** სასწავლო პროცესის მართვის სისტემა სტუდენტს საშუალებას აძლევს აირჩიოს ან შეცვალოს ძირითადი (Major) და დამატებითი (Minor) სპეციალობები.

კრედიტი

19. რა არის კრედიტი?

- კრედიტით იზომება სტუდენტის მიერ საგნის შესწავლისათვის დახარჯული დრო. იგი მოიცავს საგნის შესწავლისათვის გამოყოფილ როგორც საკონტაქტო (საღიგობო, ლაბორატორიული, პრაქტიკული და სასემინარო მეცადინეობები), ასევე დამოუკიდებელი მუშაობისათვის დახარჯულ დროს.

20. ერთი კრედიტი რამდენი საათია?

➤ ერთი კრედიტი 25 საათის ტოლია.

21. რამდენი კრედიტი უნდა დააგროვოს სტუდენტმა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად?

➤ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს **240** კრედიტი. ამ რაოდენობის კრედიტების შესრულება შესაძლებელია:

ა) ძირითადი სპეციალობის (major) **160** კრედიტის, დამატებითი სპეციალობის (minor) **60** კრედიტისა და თავისუფალი **20** კრედიტის ერთობლიობით;

ბ) მხოლოდ ძირითადი სპეციალობის (major) კრედიტებისა და თავისუფალი კრედიტების ერთობლიობით;

➤ საბაკალავრო პროგრამის ფორმატის დაგეგმვა სტუდენტის პრეროგატივაა და იგი თავისუფალია თავის არჩევანში;

➤ დამატებითი სპეციალობისა და თავისუფალი კრედიტების არჩევა დასაშვებია

საბაკალავრო პროგრამებიდან როგორც ძირითადი ფაკულტეტის ფარგლებში, ასევე თსუ სხვა ფაკულტეტებზეც.

22. რამდენი კრედიტი უნდა დააგროვოს მაგისტრანტმა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად?

➤ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მაგისტრმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.

23. რამდენი კრედიტის არჩევის საშუალება აქვს სტუდენტს სემესტრში?

➤ აკადემიური რეგისტრაციისას გასათვალისწინებელია, რომ კრედიტების წლიური დასაშვები რაოდენობა განსაზღვრულია 65 კრედიტით. სტუდენტს შეუძლია ამ 65 კრედიტიდან 30 დაგეგმოს. შემოდგომის სემესტრში, ხოლო 35 გაზაფხულის სემესტრში. შესაძლებელია პირიქითაც: 35 დაიგეგმოს შემოდგომის სემესტრში, ხოლო 30 გაზაფხულის სემესტრში.

24. თუ სტუდენტმა ვერ მოიპოვა სემესტრში დაგეგმილი კრედიტები?

➤ თუ სტუდენტმა ვერ მოიპოვა შემოდგომის სემესტრში დაგეგმილი კრედიტები იგი ვერ შეძლებს გაზაფხულის სემესტრისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობის გადაჭარბებას. მაგალითად, თუ სტუდენტი შემოდგომის სემესტრში დაგეგმილი 35 კრედიტიდან მოიპოვებს მხოლოდ 20, გაზაფხულის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციისას იგი ვერ შეძლებს 30-ზე მეტი კრედიტის დაგეგმვას.

25. რამდენჯერ შეუძლია სტუდენტს ერთი საგნის მოსმენა?

➤ ერთი და იგივე საგნის მოსმენა სტუდენტს შუძლია სამჯერ. თუ სტუდენტი მესამედ აირჩევს რომელიმე წინა სემესტრში უკვე არჩეულ ისეთ საგანს, რომელშიც კრედიტი არა აქვს აღებული და ისევ ვერ მიიღებს კრედიტს, მას მიეცემა სპეციალობის შეცვლის, თსუ-ს სხვა ფაკულტეტზე ან სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადასვლის შესაძლებლობა.

26. რა შემთხვევაში ენიჭება სტუდენტს კრედიტი?

➤ სტუდენტს კრედიტი ენიჭება, თუ მან ჩააბარა გამოცდა და სემესტრული შეფასებით დისციპლინაში მოაგროვა არანაკლებ 51 ქულისა.

27. რა შემთხვევაში არ ენიჭება სტუდენტს კრედიტი?

➤ სტუდენტს საგანში კრედიტი არ მიენიჭება, თუ მან ვერ ჩააბარა გამოცდა, ან სემესტრული შეფასებით ამ საგანში მოაგროვა 51 ქულაზე ნაკლები. სემესტრული შეფასება არის სტუდენტის მიერ გამოცდის წინა პერიოდში დაგროვილი ქულებისა და გამოცდაზე მიღებული ქულების ჯამი.

სილაბუსი

28. რა არის სილაბუსი?

➤ სილაბუსი არის ლექტორის მიერ დეტალურად წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა.

29. უნდა ჰქონდეს თუ არა სტუდენტს საგნის სილაბუსი?

➤ ლექტორი ვალდებულია ლექციების კურსის დაწყებისთანავე სტუდენტს გადაცეს საგნის სილაბუსი ან მიუთითოს ვებ-გვერდის მისამართი, საიდანაც ამ სილაბუსის აღება იქნება შესაძლებელი.

ცოდნის შეფასება

30. რამდენი ქულით ფასდება სტუდენტის ცოდნა?

➤ სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

31. როგორ ნაწილდება 100 ქულა?

➤ ქულების განაწილება ცალკეული დისციპლინის მიხედვით აღწერილია სილაბუსში. უმეტეს შემთხვევაში 100 ქულიდან 40 ან 30 ქულით ფასდება გამოცდა. დარჩენილი 60 ან 70 ქულა, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაწილდება პრაქტიკულ, ლაბორატორიულ, სემინარულ მეცადინეობებზე, კოლოკვიუმებზე და/ან სხვა კომპონენტზე (დასწრება, აქტივობა, პრეზენტაცია) და ა.შ.

32. რამდენი ქულა რა ნიშანს შეესაბამება?

➤ 100 ქულიანი სისტემა შეესაბამება შემდეგ ნიშნებს:

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	კარგი ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

თსუ კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ნიშნის, ე.წ. GPA-ს (grade point average) დაანგარიშება ხდება შემდეგნაირად:

თავდაპირველად ხდება სტუდენტის მიერ მიღებული შესაფასების შესაბამისობის დადგენა GPA-სთან ქვემოთ წარმოდგენილი პრინციპით:

შეფასება	ქულობრივი მაჩვენებელი	GPA/GPA
A	91-100	4,0
B	81-90	3,0
C	71-80	2,0
D	61-70	1,0
E	51-60	0,5
F - FX	0-50	0,0

შემდეგ სტუდენტის მიერ თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასების GPA მრავლდება ამ კურსის კრედიტების რაოდენობაზე, მიღებული ნამრავლები იკრიბება და იყოფა ყველა სასწავლო კურსის კრედიტების საერთო რაოდენობაზე.

33. სავალდებულოა თუ არა გამოცდაზე გასვლა?

➤ გამოცდაზე გასვლა სავალდებულოა დადგენილ ვადაში.

34. როდის ითვლება გამოცდა ჩაბარებულად?

➤ გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი გამოცდაზე მიიღებს მაქსიმალური ქულის 50%-ს მაინც (მაგ. 40-ქულიანი გამოცდის შემთხვევაში სულ ცოტა 20 ქულას).

35. სავალდებულოა თუ არა დაწერა?

➤ შუალედური გამოცდის დაწერა სავალდებულოა დადგენილ ვადებში.

36. სტუდენტი არ გამოცხადდა გამოცდაზე დადგენილ დროს. აქვს თუ არა იგივე გამოცდაზე ცალკე გასვლის უფლება?

➤ არა.

37. სტუდენტი არ გამოცხადდა შუალედურ ან საბოლოო გამოცდაზე დადგენილ დროს. როგორ შეფასდება ეს კომპონენტი?

➤ კომპონენტი შეფასდება ნული ქულით.

38. ჩაითვლება თუ არა საპატიოდ საბოლოო ან შუალედური გამოცდის გაცდენა რეზერვისტთა საწრთვინელ შეკრებაზე ყოფნის მიზეზით?

➤ ჩაითვლება საპატიოდ და მათ მიეცემათ უფლება ინდივიდუალური განრიგით ჩააბარონ გამოცდა.

39. შეუძლია თუ არა სტუდენტს განმეორებით მოისმინოს ცალკეული სასწავლო კურსი?

➤ სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებსა და დაფინანსების სემესტრული გადასახადის ფარგლებში განმეორებით მოისმინოს ცალკეული სასწავლო კურსი სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ოდენობით;

➤ სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი კადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო, არაუმეტეს ოთხი სემესტრის მანძილზე;

➤ დამატებითი სემესტრის სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანატის წარდგინების საფუძველზე, შესასწავლი დისციპლინების კრედიტების მოცულობის ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) სემესტრში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის (30 კრედიტის მოცულობით) სრულად გავლის შემთხვევაში საფასური განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით;

ბ) ცალკეული სასწავლო კურსის შესწავლისას საფასური განისაზღვრება საგნისათვის მინიჭებული კრედიტის შესაბამისად და შეადგენს: ბაკალავრიატში ყოველ კრედიტზე 25 ლარს, მაგისტრატურაში - 35 ლარს;

გ) სტუდენტს, რომელიც დამატებითი სემესტრებით გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტებს, უწყდება სტუდენტის სტატუსი და იძენს კურსმოსმენილის სტატუსს, რომელიც დასტურდება აკადემიური ცნობით.

40. როგორ ხდება გამოცდის შედეგების გასაჩივრება?

➤ გამოცდის შედეგების გასაჩივრება ხდება შემდეგნაირად:

სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით ან შუალედურ გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს თსუ საგამოცდო ცენტრს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა;

➤ მაგისტრატურაში შესვლის მსურველი კონკურსანტი, რომელიც არ ეთანხმება მაგისტრატურის მისაღებ გამოცდაზე მიღებულ შედეგს, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს თსუ საგამოცდო ცენტრს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა; საჩივარი დასაშვებია, თუ კონკურსანტი უთითებს პროცედურულ დარღვევებზე და შეფასების დადგენილი სისტემის შეუსრულებლობაზე.

სპეციალობის არჩევა

47. რომელი საბაკალავრო პროგრამის არჩევა შეუძლია სტუდენტს ფაკულტეტზე?

➤ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს შემდეგი საბაკალავრო პროგრამები:

- მათემატიკა,
- კომპიუტერულ მეცნიერებები,
- ფიზიკა,
- ქიმია,
- ბიოლოგია,
- გეოგრაფია,
- გეოლოგია
- ელექტრონიკა
- ეკოლოგია,

- ბუნებისმეტყველება
- გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია

აგრეთვე ფრანგულენოვანი საბაკალავრო პროგრამა ინფორმატიკაში.

48. შეიძლება თუ არა ფაკულტეტის ფარგლებში სპეციალობის შეცვლა?

➤ სტუდენტს უფლება აქვს ისწავლოს ნებისმიერი საგანი, რომლის შესწავლის წინაპირობებსაც დააკმაყოფილებს. ამიტომ, თუ სტუდენტი გადაწყვიტავს შეიცვალოს სპეციალობა, მას შეუძლია აირჩიოს ახალი სპეციალობის საგნები და დააფიქსიროს ახალი სპეციალობა.

49. როდის ხდება სპეციალობის არჩევა ან შეცვლა?

➤ სპეციალობის არჩევა ან შეცვლა ხდება აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში.

50. შეიძლება თუ არა დამატებითი სპეციალობის არჩევა სხვა ფაკულტეტიდან?

➤ დამატებითი სპეციალობის კრედიტების არჩევა დასაშვებია როგორც ძირითადი ფაკულტეტის ფარგლებში, ასევე თსუ სხვა ფაკულტეტებზეც. დამატებითი სპეციალობას არ სთავაზობს მედიცინისა და იურიდიული ფაკულტეტები.

51. რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტი, რომ მეორე სემესტრიდან მოხვდეს კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებაზე?

➤ იმისათვის, რომ მეორე სემესტრიდან მოხვდეს კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებაზე სტუდენტმა პირველ სემესტრში უნდა აირჩიოს და დადებითი შეფასება მიიღოს შემდეგ დისციპლინებში: წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია, კალკულუს II, დაპროგრამების საფუძვლები. არ არის საკმარისი კომპიუტერთან მუშაობის და მისი გამოყენების თუნდაც დიდი გამოცდილებისა და კარგი უნარ-ჩვევების ქონა.

52. არა ვარ კომპიუტერულ მეცნიერებათა არც (major) ძირითადი და არც (minor) მეორადი სპეციალობის სრული პროგრამების შესწავლის მსურველი. ამ პროგრამების რომელი ცალკეული საგნების მოსმენა იქნებოდა სასარგებლო თავისუფალი კრედიტების ფარგლებში?

➤ ამ შემთხვევაში შემოგთავაზებთ შემდეგ კურსებს:

კომპიუტერული გრაფიკის პაკეტი;

Web დიზაინი;

დაპროგრამება VB-ზე;

სურვილის შემთხვევაში მომავალში სტუდენტს ექნება საშუალება შეისწავლოს კომპიუტერულ მეცნიერებათა სხვა ძირითადი კურსები, რომლის წინაპირობებსაც დააკმაყოფილებს.

დიპლომი

53. რა სახით აისახება დიპლომში აკადემიური ხარისხი?

➤ დიპლომში აღინიშნება, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, დამატებით მითითებული იქნება სპეციალობა.

- ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის ეკოლოგიის, ბუნებისმეტყველება გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობის მითითებით (მაგ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი, სპეციალობით ქიმია).
- მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ მათემატიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სპეციალობით მათემატიკა.
- საბაკალავრო პროგრამის კომპიუტერული მეცნიერებები კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაკალავრის ხარისხი სპეციალობით კომპიუტერული მეცნიერებები.
- ელექტრონიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ საინჟინრო მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით ელექტრონიკა.

54. აისახება თუ არა დიპლომში მეორე სპეციალობა?

➤ მეორად სპეციალობაში დაგროვილი კრედიტები აისახება დიპლომის დანართში.

55. რა დიპლომი გაიცემა ინფორმატიკაში ფრანგულენოვანი პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ?

➤ გაიცემა ორი დიპლომი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი და ვერსალის უნივერსიტეტის (საფრანგეთი) დიპლომი.

კონფლიქტური სიტუაციის რეგულაცია

56. როგორ უნდა მოიქცეს სტუდენტი თუ ის უკმაყოფილო იქნება რომელიმე სასწავლო კურსის შინაარსის ან მისი წარმართვის ფორმის მიმართ?

➤ სტუდენტმა ჯერ უნდა სცადოს ურთიერთობის გარკვევა და მოგვარება საგნის პედაგოგთან. მდგომარეობის არ შეცვლის შემთხვევაში მოცემული თანამიმდევრობით მიმართოს მიმართულების სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროს სპეციალისტს, შემდეგ ფაკულტეტის დეკანს და, ბოლოს, უნივერსიტეტის რექტორს.

57. როგორ მოიქცეს სტუდენტი, თუ იგი უკმაყოფილოა კონკრეტულ საგანში მიღებული შეფასებით?

➤ საგანში მიღებული შეფასებით უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს ნიშანი დადგენილი წესის შესაბამისად, მაგალითისთვის იხ. შეკითხვა. 140.

სასწავლო ცხრილი, სტენდი და ინფორმაციის სხვა წყაროები

58. როგორ და სად უნდა მოიპოვოს სტუდენტმა ინფორმაცია ინდივიდუალური ცხრილის ფორმირებისათვის?

ინდივიდუალური სასწავლო ცხრილის ფორმირებისათვის სტუდენტს თსუ-ს ინტერნეტ გვერდზე <http://www.tsu.ge> შეუძლია მიიღოს ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამების, საგნების ჩამონათვალისა და მათი მოცულობის შესახებ კრედიტებში, აგრეთვე მათი არჩევის წინაპირობებზე. სტუდენტს ასევე შეუძლია მიიღოს ინფორმაცია “სასწავლო პროცესის მართვის” საუნივერსიტეტო ელექტრონულ ბაზაში და დამატებითი კონსულტაციისათვის მიმართოს მიმართულების ტუტორს.

59. როგორ და სად უნდა მოიპოვოს სტუდენტმა ინფორმაცია სასწავლო პროცესის და სხვა საკითხების შესახებ?

➤ სტუდენტს შეუძლია ნახოს სასწავლო ცხრილი ფაკულტეტის სტენდებზე მიმართულებების მიხედვით: თსუ მაღლივ (X) კორპუსში, ბიოლოგიის (XI) კორპუსში, თსუ II კორპუსში. ასევე, ცხრილი განთავსებულია თსუ-ს ინტერნეტ გვერდზე <http://moodle.science.tsu.ge>, ხოლო ინფორმაცია სასწავლო პროცესის სხვადასხვა საკითხების შესახებ შეუძლია მიიღოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან.